1940.

ოქტომბრელი



1940 წ. №2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოქტომბრელი

№ 2
თებერვალი
1940 წ.
გამომცემლობა „კომუნისტი"
რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ., № 34
ტელ. № 3-02-61

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას და საქ. განსახკომის ერთთვიური ორგანო

შინაარსი

		გვ.
1.	გიორგი კაჭახიძე, — ორი ლექსი	1
2.	გიორგი ქუჩიშვილი, — პირველ თოვლში (ლექსი)	1
3.	ლავრენტი ჭიჭინაძე, — მამა გაახარა (მოთხრობა)	2
4.	მარიკა გარათაშვილი, — ჩემი ყვავილები (ლექსი)	4
5.	გ. ცხადაძე, — ოცდახუთი თებერვალი (წერილი)	5
6.	ლეო ჩადუნელი, — აკაკი წერეთელი (წერილი)	7
7.	აკაკი წერეთელი, — გამოცანები	7
8.	არტემ ახნაზაროვი, — ცელქი რეზო (ლექსი)	8
9.	დავით შამათავა, — ორბი (მოთხრობა)	9
10.	ირაკლი აბაშიძე, — ჩვენებური მწერები (ლექსი)	10
11.	ქეთევან ელისაბედაშვილი, — ზამთარში (მოთხრობა)	11
12.	თურმან შანშიაშვილი, — ჭივჭავი (ზღაპარი)	12
13.	მურმან ლებანიძე, — ზამთრის მოლოდინში (ლექსი)	16
14.	რეზო თაბუკაშვილი, — კამათი (ლექსი)	16
15.	ლიდია მეგრელიძე, — ორი მეიოევზე (ხალხური ამბავი)	გარეკანის მე-3 გვ.
16.	კ. ცაგარეიშვილი, — რა უფრო მალე სპობს ორგანიზმს — უძილობა თუ უჭმელობა	გარეკანის მე-3 გვ.
17.	გასართობი	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალის გაფორმება და გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ — ი. ქოქიაშვილს

პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. ჭიჭინაძე პასუხისმგებელი მდივანი: თ. შანშიაშვილი

გადაეცა წარმოებას 26/I 40 წ. ქაღალდის ზომა 60×92
ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/II 40 წ. ფორმათა რაოდენობა 20-გვ. $9^1/_2 \times 14$

მთავლიტის რწმუნებული № 2326 ტირ. 14.200 შეკვ. № 97 პოლიგრაფკომბინატი სტამბა „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3636.

გიორგი კაჭახიძე

გმირი მფრინავები

ლაჟვარდიდან სიყვარულით
მშობელ მიწას დაჰხარიან...
ყველგან მარჯვედ დაფრინავენ,
ყველა მხნე და მაგარია.
გაბედულად სად არ იყვნენ,
მზის შუქივით რა არ ნახეს.
ბევრი ზღვა და ველ-მინდორი
რკინის ფრთებით გადალახეს.
ორბებივით ნავარდობენ,
ხალისობენ მზესთან ლხინში...
ბევრი მტერი ხმლის მოქნევას
ვერ გვიბედავს მათი შიშით.

მესაზღვრეები

ჩვენი ქვეყნის მზიურ საზღვრებს
სდარაჯობენ მუდამ ფხიზლად,
მოწყენა და დაღლილობა
ვერ ბედავენ მათთან მისვლას.
თვალი უჭრით და იციან
სად რა ხეა, სად რა ხვრელი...
დგანან მტკიცედ, რომ სამშობლოს
ვერ შეახოს მტერმა ხელი.
დგანან მტკიცედ, რომ დაცული
გვქონდეს ქვეყნის ყველა კიდე,
ჩვენს მიწაზე შავი გულით
ყვავიც რომ ვერ გადმოფრინდეს.

გიორგი ქუჩიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგი კეშელავას

„შინ ქურქით რას შეფუთნულხარ,
დათვის ბელო, ბიჭო დათო?
გარეთ გამო, ერთი შეხე,
დღეს ჩვენ თბილისს როგორ ათოვს!
აბა, ჩქარა! პირველ თოვლში
ჩვენ პირველნი გავჩნდეთ ციგით!
თოვლის კაციც გავაკეთოთ,
ვასრიალოთ ჩვენთან იგი!
გესმის, ბიჭო! ახ, იჩქარე!“ —
რაც ხმა შესწევს, კივის გიგი.
იფ, რა თბილა! რა უხვად თოვს,
თითქოს ვილაც ბამბას პენტავს,
ქუჩაში კი მეეზოვე
მისდგომია თოვლს და ხვეტავს,
„ბიჭო! — ყვირის, ყვირის გიგი —
დაყრუვდი, თუ რა დაგმართეს!
საციგაოდ, საგუნდაოდ
მივაშუროთ მთის თეთრ კალთებს!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლავრენტი ჭიჭინაძე

მამა გაახარა



დიდი მოუსვენარი ბიჭი იყო ზაზა. ერთ გაკვეთილზე მთელ კლასს შემოივლიდა ხოლმე, ხან ერთ ამხანაგს მიუჯდებოდა, ხან მეორეს, ხან მესამეს, ხოლო თუ გაცინების დროს იხელთებდა, ისე ახარხარდებოდა, რომ მთელ ჯგუფს აიკლებდა. ძალიან აწვალებდა მასწავლებელს. მოწაფეებიც დაშინებული ჰყავდა. ხშირად, როცა დასვენება იქნებოდა, ხან ერთს ეტოლებოდა, ხან მეორეს. ერთხელ ერთი მოწაფე აიჩემა:

— აი მე შენზე მეტი ვარ ოთხი თითით!

— მერე, რა გინდა, მეც გავიზრდები... ეს თითქოს ეწყინაო ზაზას.

— შენ გაიზრდები და მე აღარ გავიზრდები? მაინც მეტი ვიქნები, — თან ხელი წამოჰკრა ამხანაგს.

— ტანით რომ ხარ დიდი, შენ ჭკუას რა მოუვიდა? ის რატომ არ იზრდება? — მიახალა ამხანაგმა ეს სიტყვები და გასაქცევად მოემზადა: იცოდა, ზაზა ამას აღარ აპატიებდა, მაგრამ ვერ გაასწრო.

ზაზამ უცებ ხელი მოსდო კისერში, წააქცია. პატარა ბიჭუნას რაღაცა ეტკინა, ატირდა, ძლივს წამოდგა ფეხზე. მივიდნენ პატარები. ზოგი ეუბნებოდა: ნუ ტირიო, ზოგი კიდევ ხალათს უსწორებდა, ხოლო რამდენიმე გოგო-ბიჭი ზაზას შემოესია, უყვიროდნენ:

— შენზე დიდმა რომ ასე წაგაქციოს და იტირო, კარგი იქნება?

— რა ჩემი ბრალია, გლახა სიტყვა მითხრა, — თქვა და გაიქცა, ისევ თავისთავი გამოიყვანა მართალი.

ყველას ასე ატირებდა ხოლმე ზაზა.

მასწავლებელი ხან მამას იბარებდა, ხან დედას. მათ წინაშე ზაზა უცნაურად აიბუზებოდა. მასწავლებელი ეტყოდა:

— ამის შემდეგ ხომ აღარ შეგვიშლი ხელს?

— არა, — უკვე ტირილნარევი ხმით უპასუხებდა.

ასეთი პირობა ბევრჯერ დადო ზაზამ, მაგრამ ყოველთვის დაივიწყა. მერე და მერე მშობლების მოსვლასაც შეეჩვია, აღარც იმათი ეხათრებოდა. ერთხელ მასწავლებელმა მკაცრად უთხრა:

— ხვალ მამა მოიყვანე, შენ პირდაპირ აუტანელი გახდი, მე დირექტორს ვუთხარი, რომ სკოლიდან დაგითხოვონ. წადი ახლა შინ.

ზაზა თავჩაღუნული, აბუზული წავიდა შინ, მამას ვერ გაუბედა თქმა და დედას უთხრა:

— ხვალ მამას იბარებენ სკოლაში.

— ზაზა, გენაცვალე, რატომ იქცევი ასე ცუდად? ვეღარ ვეტყვი მამაშენს, გაჯავრდება და გცემს. ბიჭო, ან მასწავლებელს რატომ აწვალებ, ან ჩვენ რატომ გვიკლავ გულს? ხომ ხედავ, რეზო და თამაზი რა კარგი ბიჭებია, შენ რომ ისეთი იყო, უფრო კარგი არ იქნება? — ზაზა გაჩუმებულია, თავჩაღუნული უსმენს დედას. — შენ აი რა კარგი ტანისამოსი გაქვს,

კარგი ფეხსაცმელები, ქუდი, კამფეტებიც ბევრი გაქვს, კიდევ რაღა გინდა?

— თა-მა-ში! — მტირალი ხმით უპასუხა და უკვე ცრემლიანი თვალებით დედას შეხედა.

დედამ გაიცინა.

— ჩვენ თამაშს ხომ არ გიშლით, მაგრამ ჭკვიანადაც უნდა იქნე და კარგად უნდა ისწავლო, სირცხვილი არაა, მასწავლებელს რომ აჯავრებ? ის შენი ტოლი კი არაა. როცა ძალიან გააწვალებთ, მერე შეიძლება სულ წავიდეს. მაშინ თქვენ ხომ მასწავლებელი აღარ გეყოლებათ?! მერე შენც გლახა გიგლასავით დაიწყებ ქუჩა-ქუჩა სიარულს.

ზაზას თვალწინ წამოუდგა გიგლა, ბავშვები რომ დასდევდნენ და აწვალებდნენ, ბოლოს დედას შეეხვეწა:

— მამას უთხარი, ნუ მცემს, ამ ერთხელ მოვიდეს კიდევ სკოლაში და აღარც მასწავლებელს გავაწვალებ.

— კარგი, მაგრამ ვნახოთ, ახლა როგორ მოიქცევი სახლში, დღესვე შეგეტყობა.

ზაზა მაგიდას მიუჯდა, ამოიღო წიგნები და მეცადინეობა დაიწყო.

მეორე დღეს მამა სკოლაში გამოცხადდა, მასწავლებელმა ზაზა მასთან მიიყვანა.

— გაკვეთილზე არ გვისმენს, ამხანაგებს სცემს, ნიჭი აქვს და არ სწავლობს, სხვებსაც აცდეხს, — ამბობდა მასწავლებელი აღელვებით.

— ეს იყოს უკანასკნელი გაფრთხილება, ახლა პირობა აქვს მოცემული, ვნახოთ, თუ შეასრულებს, თუ არა და მერე მე ვიცი.

ზაზა კვლავ სკოლაში დააბრუნეს და მასწავლებელმა უთხრა:

— შენ ამ პირველ სკამზე იჯექი მუდამ, არ გნახო სხვაგან გადამჯდარი. ამ პირობას თუ შეასრულებ და წყნარადაც იქნები, მაშინ კარგადაც ისწავლი. ამ ოლ დავალებას ხომ შეასრულებ?

— სულ აქ ვიქნები, მასწავლებელო!

— ახლა კი ყური დამიგდეთ, ერთი მასწავლებლისა და მოწაფის ამბავს მოგიყვებით. ეს ამ რამდენიმე დღის წინათ მოხდა.

— გვიამბე, გვიამბე! — წამოიძახეს მოწაფეებმა.

— ერთ სკოლაში ერთი ძალიან ცელქი მოწაფე იყო. არც მასწავლებლის ესმოდა და არც მშობლებისა. შინ სახლი ჰქონდა აკლებული და გარეთ კიდევ სკოლა. ამ ზამთარში ყინვები რომ დაიწყო, სკოლის გამოსასვლელთან ქუჩაში საცურაო მოეწყოთ. ქუჩა ისე გასიპული იყო, რომ ხალხი ვეღარ დაიარებოდა. მასწავლებლებმა თავთავიანთი მოწაფეები გააფრთხილეს: ქუჩაში აღარ იცურაოთო. სწავლა რომ დამთავრდა, ის ცელქი მოწაფე უკვე ხელებგაშლილი მიცურავდა გასიპულ ყინულზე. მან უცებ თავი ვეღარ შეიმაგრა, დაეტაკა კედელს და უკუღმა გადავარდა. ის მასწავლებელმა დაინახა, იფიქრა: ალბათ, რაღაც მოიტეხაო და მისკენ გაიქცა. გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და თვითონაც წაიქცა. ვეღარ ადგა, მარცხენა ფეხი მოიტეხა. მოწაფეები შემოეხვივნენ. ის მოწაფე, კედელს რომ დაეტაკა, უკვე მასწავლებელთან მიიჭრა და ხმასაც ვეღარ იღებდა სირცხვილით: იცოდა, რომ ეს მისი ბრალი იყო. მასწავლებელი თავის ფეხის ტკივილს თითქოს ვერ გრძნობდა და მოწაფეს შეეკითხა: ხომ არაფერი გტკენიაო? დარცხვენილმა მოწაფემ ხმა ვეღარ გასცა.

მასწავლებლები ასე ზრუნავენ თქვენზე, თქვენ კი მათ არ აფასებთ. მოწაფეები სულგანაბული უსმენდნენ.

— ჩვენ ეგრე არ მოვიქცევით, — წამოიძახა რამდენიმემ.

— აბა ახლა ზაზასაც ჰკითხეთ.

— არც მე, მასწავლებელო, აი ყველა აქ მყოფი იყოს მოწმე!

ამის შემდეგ ზაზა მართლაც მთლად გამოიცვალა, ყოველთვის სწავლობდა გაკვეთილებს. მასწავლებელს უხაროდა. ერთხელ შუბლზეც კი აკოცა მას, თან უთხრა:

— ზაზა, ხვალ კიდევ გამოიაროს მამაშენმა სკოლაში.

ბავშვმა მამას რომ უთხრა სკოლაში უნდამოხვიდეო, მამას ეწყინა და შეუყვირა:

— კიდევ იეშმაკე?

— მოდი და მასწავლებელი გეტყვის, — იცინოდა ზაზა.

— კარგი, მოვალ და ვნახოთ.

მეორე დღეს მართლაც მივიდა. აქამდის თუ ზაზაზე საყვედური ესმოდა და შინ გულმოკლული ბრუნდებოდა, ახლა ქება გაიგონა, გეხარდა მამას და ზაზას დასაჩუქრებას დაჰპირდა.

მარიკა ბარათაშვილი

ჩემი პატარები, ჩემი ჩიტუნები,
ჩემი ყვავილები, ნაზი ყვავილები...
ცქრიალა თვალები, პაწაწა გულები, —
მე მათზე სიმღერით როგორ დავიღლები!

თითქოს გზა განვლილი სიზმრებში ჩავტოვე,
ულრუბლო დღეები ხმაურით მოდიან...
ბავშვობის ამბები მათოვენ, მათოვენ...
ბურთები, ზღაპრები და მალულობია.

როდესაც გულღიად ტიტინებს პატარა,
მეკვრის და მეხვევა დედას და მეგობარს. —
მე სხვა რამ ხალისი არ მინდა, აღარა,
პაწაწას ალერსი საჩუქრად მეყოფა...

ვუკოცნი თითუნებს, ჩავცქერი თვალებში,
მე მათი სიცოცხლე ხალისად მწვევია...
ვეხვევი, ვჩურჩულებ ნაზად და ალერსით:
„რა ყვავილებია! ჩემია, ჩემია!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ცხადაძე

ოცდახუთი თებერვალი

დღეს, ოცდახუთ თებერვალს, ჩვენ ძალიან მხიარულ გუნებაზე ვართ. თვალები გვიბრწყინავს, ტუჩებზე ღიმილი გვიკრთის, გულები უჩვეულოდ გვიცემს...

გვიხარია...

აი დღესაც საინტერესო ამბებს გვიამბობენ გაკვეთილების შემდეგ. წითელი ჯარიდან მოვა კაცი და მოგვითხრობს თავის თავგადასავალს, გვესაუბრება ძველ ცხოვრებაზე...

უკანასკნელი გაკვეთილი თავდება. საცაა მოვა ის კაცი. აჰა, ზარიც ირეკება. ჟივილ-ხივილით გავრბივართ გარეთ. ვხედავთ, კიბეზე ვიღაც ამოდის, მაზარა აცვია, გულზე ორდენი აქვს. ყველანი მას მივჩერებივართ, ის კი გვიახლოვდება და ღიმილით გვეუბნება:

— გამარჯობათ, პაწიებო, თქვენთან მოვსულვარ!

ხელს გვისვამს თავზე, გვეფერება და სკოლის ოთახისაკენ მიგვიძღვება. სხვა ბავშვებიც მორბიან ჩვენკენ, მოდიან მასწავლებლებიც. ყველანი ვსხდებით. კლასში სიჩუმეა.

— მე, ბავშვებო, სულ ცოტახანს გესაუბრებით, — იწყებს სტუმარი, — ოცი — ოცდახუთი წუთი. პირველად ჩემს მოწაფეობაზე გიამბობთ. პატარა ვიყავ, პატარა ბიჭი. ვსწავლობდი მესამე კლასში. არც წიგნი მქონდა, არც კალამი, არც რვეული. მაგრამ ამას ვინ დაეძებდა, პალტოც არა მქონდა, ფეხზეც არა მეცვა რა. ვიდრე კარგი ამინდი იყო, მაინც და მაინც არ ვგრძნობდი გაჭირვებას. მაგრამ დადგა ზამთარი, აცივდა. დაიწყო ხშირი თოვლ-ჭყაპი, ქარი, მერე თოვაც. მე კი ასეთ ამინდში ფეხშიშველა დავდიოდი. კლასში სულ ვძაგძაგებდი, სიცივისაგან ვიყინებოდი, ძალიან ცუდ ოთახში ვიყავით: ფარღალალა კედლები, ჩამტვრეული ფანჯრები, ალაგ-ალაგ ჩატეხილი იატაკი. ზევიდან წყალი ჩამოდიოდა, კედლებიდან ქარი სისინებდა. ვიყინებოდი სიცივისაგან... მაგრამ განა მარტო მე? ყველანი ცახცახებდნენ. ბევრი იყო ჩემსავით ფეხშიშველი.

ერთ დღეს სკოლაში თავი ამტკივდა. შინ წამოველი, დავწექი. საშინელი სიცხე მომცა, ვბორგავდი, ვბორგავდი. თურმე, ფილტვების ანთება გამჩენოდა. დიდხანს ვიყავი ავად. როცა მოვჯობინდი და სულ მოვრჩი, ბაბუამ სადღაც მონახა ძველი ტყაპუჭები და ქალამნები შემიკერა. მე გული სკოლისაკენ მიწევდა, სწავლა მწყუროდა. ჩავიცვი ქალამნები, ბაბუაჩემის ძველი პალტო და წავედი სკოლაში. მაგრამ იქ რას ვხედავ! ეზოში რაღაც მდუმარეობაა, არავინ ჩანს! რა მოხდა?—ვფიქრობ გულში. თურმე, ბევრი გაციებულიყო და ავად გამხდარიყო ჩემსავით. მასწავლებლებიც წასულიყვნენ და ამიტომ მეცადინეობაც შემწყდარიყო.

ასე იყო, ბავშვებო, მაშინ სწავლის საქმე. ხალხს აწუხებდა გაჭირვება, შიმშილი, ფეხშიშველობა. სწავლა-განათლებას ვინ დაეძებდა!

ძალიან ხშირად, თითქმის ყოველდღიურად, ტყვიების ზუზუნი ისმოდა. ჯანყდებოდნენ გლეხები, ბობოქრობდნენ. მოვიდოდნენ მენშევიკები და ცეცხლითა და მახვილით აქრობდნენ აჯანყებას, ხვრეტდნენ უფროსებს, ზოგჯერ ბავშვებსაც.

როცა ჩვენმა სოფლელებმა ველარ აიტანეს მეტისმეტი ტანჯვა-წამება, აღდგნენ მენშევიკების წინააღმდეგ. საშინელი ბრძოლა გაიმართა თემშარაზე, ორღობეებში. მთავრობამ გამოგზავნა კარგად შეიარაღებული ჯარი. ოფიცრებმა გადაწვეს ბევრი სახლი, დაარბიეს სოფელი, დააპატიმრეს ხალხი. ბრძოლაში დაჭრილი მამაჩემი წაიყვანეს და, თურმე, ხიდთან მოკლეს მხეცურად.

იმ ხანებში ოსეთში დაიწყო დიდი აჯანყება. მთავრობამ აჯანყებულების წინააღმდეგ გვარდიელები გაგზავნა. ხალხმა ველარ გაუძლო მტრის შემოტევას. ტოვებდნენ სოფლებს და გარბოდნენ. გვარდიელები კი ცეცხლს უჩენდნენ მათ კარმიდამოს, სარჩო-საბადებელს, წვავდნენ ბოსლებს, რომლებშიც ება ხარები, ძროხები, ხბოები...

„ოსები გაიქცნენ მთებში, — წერდა გვარდიელებისხელმძღვანელი, სისხლიანი ჯალათი ჯუღელი,-ისინი დიდად დაზარალდნენ. ჩვენ თითქმის არავინ დაგვიკარგავს. მაგრამ გვარდიელები საშინლად განრისხებულნი არიან ჩვენი მტრების წინააღმდეგ და ამიტომ უკვე დაწვეს რამდენიმე სახლი“...

მესამე დღეს იგივე ჯუღელი თავის დღიურში ასე წერდა: „სოფლები აქ გაშენებულია დიდ მაღლობებზე და, ალბათ, ოსებმა იფიქრეს, რომ ისინი ჩვენთვის მიუწდომელი იქნებიან. მაგრამ ახლა ყველგან ცეცხლია. იწვის და იწვის! ავი ცეცხლი! რაღაც საშინელი, უსასტიკესი, ფეერიული სიმშვენიერე...“

ხედავდნენ ამ უბედურებას ჯალათები და სიამოვნებით ივსებოდნენ. ხალხი კი, ხალხი... იზრდებოდა და იზრდებოდა ზიზღი, შურისძიების გრძნობა გააფრთებული მტრების წინააღმდეგ. ქუჩებში ხშირად იკრიბებოდენ და იძახდნენ: „ძირს მთავრობა, გაუმარჯოს კომუნისტებს!“

— შვილებო! — გვეუბნებოდა ბებერი ჩემი, — ამბობენ, კაციჭამიები ბოლშევიკები, შეეეეეეეროთ ღმერთს, დაგვიფაროს ჯოჯოხეთისაგან!

ბაბუა მაღლა აღაპყრობდა ხელებს, რაღაცას ბუტბუტებდა, ღმერთს შველას შესთხოვდა.

ჩვენ ამის დანახვაზე გვეცინებოდა, ვიცოდით, როგორც იქნებოდა საქმე: ერთი ჩვენი სოფელი გვიხსნიდა ვითარებას. იგი ხალხს აჯანყებისათვის ამზადებდა, გვეუბნებოდა, წითელი ჯარი მოვა ჩვენს დასახმარებლადო.

ოცდახუთ თებერვალს, დილაადრიანად, მართლაც შემოვიდნენ წითელარმიელები. ჯარს წინ მოუძღოდა დიდი ლენინელი სერგო ორჯონიკიძე.

მენშევიკები დაფრთხნენ, გაიქცნენ.

ოცდახუთ თებერვალს თბილისში წითელი დროშა აფრიალდა. მაშინ სერგო ორჯონიკიძემ ლენინს ასეთი დეპეშა გაუგზავნა: „თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“. გახარებული ხალხი ზეიმობდა გამარჯვებას, ღვარძლიანი მტრები კი საძაგლად სისინებდნენ.

მის შემდეგ, ბავშვებო, ცხრამეტი წელი გავიდა. ყველაფერი შეიცვალა ამ ცხრამეტ წელში. დაგვიდგა ნათელი, საამური და გალაღებული ცხოვრება. თქვენ მხიარული ბავშვები ხართ და დიაღაც რომ მხიარულები უნდა იყოთ: არაფერი არ გაკლიათ, თქვენზე ზრუნავს ჩვენი საყვარელი მამა და მასწავლებელი დიდი სტალინი. თქვენ მის ამაგს კარგი სწავლით გადაიხდით. მაშ ისე ისწავლეთ, როგორც ბელადს გაუხარდება.

ასე დაასრულა საუბარი სტუმარმა.

ლეო ჩაღუნელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი

ოცდახუთი წელი შესრულდა, რაც აკაკი წერეთელი გარდაიცვალა, მაგრამ მისი სახელი უფრო დიადი და საყვარელი ხდება. განა ოდესმე შეიძლება იმ მწერლის დავიწყება, ვინც დაჩაგრული ხალხის გულში განთავისუფლების იმედს სახავდა? რასაკვირველია, არა.

აკაკი არა მარტო დიდებისათვის წერდა, არამედ ბავშვებისათვისაც, ძუძუმწოვარა ბავშვებს აკვანშივე ესმოდათ აკაკის ტკბილი სიტყვები. ისინი აკაკის სიტყვებით იწყებდნენ ლაპარაკს. როცა აკაკი სოფელში გაივლიდა, მასთან ბავშვები დასალოცადაც კი მიჰყავდათ.

დიდი მგოსნის სიტყვები უკვდავია. დღეს საბავშვო ბაღებში პატარებს აკაკის ლექსებს ასწავლიან. ვინ არ იცის ასეთი კარგი ლექსი:

„ჰაუ, ჰაუ! ქორო, ნუ ჰფრენ
ამ ეზოში დილ-დილასო,
ვერ მომპარავ... არ გაგატან
ჩემს პატარა წიწილასო,"

აკაკი წერეთელი ოცნებობდა თავისუფალ საქართველოზე, როცა ქართულ ენაზე ლაპარაკი სირცხვილად აღარ ჩაითვლებოდა და მშობლიურ ენაზე აყვავდებოდა მეცნიერება. მან უკვე მოხუცებულობის დროს იგრძნო სამშობლოს განთავისუფლების მოახლოება და აღფრთოვანებულმა მოხუცმა მგოსანმა სიხარულით აუწყა ქვეყანას:

„ამას ველოდი, მოვესწარ,
ვიცინი, აღარ ვსტირი მე."

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის გამოუქვეყნებელი გამოცანები:

ამედევნა, არ მშორდება,
ყველაფერში მევე მბაძავს,
ტყუპის ცალი თუმც არ არის,
მაგრამ მეტისმეტად კი მგავს.

უფეხო ვარ, მოვცუნცულებ,
უენო ვარ, მოვიმღერი,
ზამთარ—ზამთარ დაწუნებულს
ზაფხულში კი არ მყავს მტერი.

არჯევ ახნაზაროვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოვარდა ცილქი რეზო,
მოირბინა მთელი ეზო,
კატა დახვდა, გაეკიდა,
კუდზე ცეცხლი მოუკიდა;
ცეცა დაფრთხა, მიიმალა,
რეზოს მისთვის არ ეცალა,
ახლა ბურთი აიტეხა,
ჰკრა ფანჯარას და გატეხა.
შემდეგ იქით მიირბინა,
სად სარეცხი გაეფინათ,
საქანაოდ თოკს ზედ ეცა,
თოკი გაწყდა, ძირს დაეცა,
რეზომ არა იტკინა რა,
მხოლოდ მტვერში გაისვარა,
თითონ კარში გაიპარა,
სარეცხი — კი ძირს ეყარა.
მტვერში მოსვრილ- მოგანგლულმა
და ტალახით გათხუპნულმა
როცა ქუჩა გადალახა,
ვილაც უცხო ბიჭი ნახა,
თავში ჩაჰკრა, გაამწარა,
აატირა ის პატარა.
დაინახა მან რონოდა,
თავდაღმართზე რომ მოქროდა,
გაიფიქრა: „ეს კი მიყვარს,
წამიყვანს და წამომიყვანს.
შევახტები, შევფრინდები,
რონოდაზე ვეკიდები...“
რაც იფიქრა, შეასრულა,
მაგრამ წუთიც არ გასულა, —
მთლად შეშფოთდა გმირი ჩვენი,
ვერ მონახა ფეხთ საბჯენი
და ცალ ხელზე რომ ეკიდა,
ხელმა ტანი ვეღარ ზიდა,
დაუსუსტდა ღონე, ძალა,
ხელიც ვეღარ მოიცვალა,
პირქარი თვალს უბნელებდა,
გზის დანახვას უძნელებდა,
შიშმა გული აუძგერა,
გააოგნა, გააშტერა,
მთლად დაიბნა, მოინდომა
მან მიწაზე გადმოხტომა,
ფეხი მძლავრად გაიქნია
და გადმოხტა. ქარმა სძლია,
გასაქანი არ მიეცა
და იქავე ძირს დაეცა,
რონოდამ ზედ გადუარა
და საშინლად გაამწარა.
ძირს ეგდო და გაჰკიოდა,
ცალი ფეხი აღარ ჰქონდა.
უწამლეს და უმკურნალეს,
ბევრი ტანჯეს და აწვალეს,
ჭრილობა ძლივს მოურჩინეს,
ფეხი — კი ვერ აღუდგინეს
ჯერ ყავარჯნებს დაემყარა,
მაგრამ მარჯვედ ვერ იარა,
შემდეგ ომბოხს ატარებდა,
დიდი ტანჯვით ჩანჩალებდა.

დავით შამათავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორბი

გოგო-ბიჭები სიცილ-კისკისით ბრუნდებოდნენ კოხტა-გორის მწვერვალიდან. ივლისის მზიანი დღე იყო, უნისლო და ნათელი. შორს ნაძვებსა და ფიჭვნარში მოჩანდა ციხისჯვარი, ტაბაწყურის გზა და ქვევით ბაკურიანი. ყვავილების ფერადი თაიგულებით ხელში, გოგონები წკრიალა ხმით „სულიკოს“ მოიმღეროდნენ. რეზომ ნაძვნარს ქვემოთ ბილიკზე ამხანაგები შეაჩერა, ცისკენ ხელი აიშვირა და ბავშვებს მიმართა:

— შეხედეთ, შეხედეთ! რას მიაპროწიალებს ორბი ცაში?! — მართლაც, შორს ლეგა ორბი ტრიალებდა, კლანჭებში რაღაც შავი საგანი ეჭირა.

— რაა, ნეტავ რა მოიტაცა?! — დაინტერესდა გივი. ორბი ხელმარჯვნივ მაღალ, მოტიტვლებულ კლდეს უტრიალებდა, წამოვიდოდა ქვევით, მიუახლოვდებოდა მას და მერე კვლავ მაღლა აიწევდა.

— ნამდვილად რაღაც ფრინველია, უნდა შეჭამოს, — განმარტა ზურიკომ.

— არა, უფრო დიდია! — დაეჭვდა რეზო.

— გოგოებო, გოგოებო, მართლა რა არის?! — ყვიროდა ნათელა. უცებ ბავშვებმა კარგად დაინახეს, ორბს კლანჭებიდან ნადავლი გაუცდა, ბზრიალ-ტრიალით წამოვიდა ქვევით და შიშველ კლდეს რომ დაეჯახა, ჯახანი გაადინა, თითქო რაღაცა გატყდაო.

— გავიქცეთ, ვნახოთ! — წამოიყვირა გივიმ და მოკურცხლა ქვევით. გოგო-ბიჭები სირბილით გამოუდგნენ თავდალმართში გივის.

ერთ წუთსაც არ გაუვლია, რომ ორბი ძირს წამოვიდა შხუილით, კლდეს დააფრინდა, სადაც თავისი ნადავლი ჩამოაგდო, კლანჭები დასტაცა და მედიდურად გააქანა ისევ ზევით. ბავშვები სირბილით მიუახლოვდნენ ვეება ხავსიან კლდეს. იქ მხოლოდ კუს ბაკნის ნამსხვრევები ეყარა.

— ეს რა იყო?! რა გააკეთა ორბმა?! — დაეკითხა ნათელა გივის,

— აი რა მიამბო მე მამამ ამის შესახებ, — განმარტა გივიმ, — თუმცა არც კი მჯეროდა. ორბი ჭკვიანი ფრინველია. ის ხშირად კუს ხორცით იკვებება. დაიჭერს სადმე დაბლობში და გააქანებს ზევით. კუ შიშით ბაკანში შეიმალება, ორბს კი უნდა პირი ჩაიგემრიელოს. როგორ გამოიყვანოს კუ ნაჭუჭიდან? ამიტომ ამ ხერხს მიმართავს, რაც ნახეთ! ნადავლს კლდეს ან დიდ ქვას დაუპირისპირებს ზევიდან, უცებ კლანჭებს დაუშვებს და დიდი სისწრაფით გამოქანებული კუ კლდეზე დაეცემა, ბაკანი გატყდება, ხოლო სანამ საბრალო ბობღია თავს უშველის, ორბი თავს დააცხრება თავის გემრიელ საკბილოს ბასრი კლანჭებით და სასწრაფოდ გააქანებს საიმედო ადგილს.

— ბიჭო, რა ჭკვიანი ყოფილა ორბი! — თქვა ფრინველის ხერხით აღტაცებულმა რეზომ.

— არწივებიც, ქორებიც ამ შემთხვევაში ასე იქცევიან, თურმე, არწივი ძვალს რიყეზე ჩამოაგდებს, ძვალი დაიმსხვრევა, ის კი ტვინით ჩაიგემრიელებს პირს!

გოგოები ფრთხილად ათვალიერებდნენ კუს ბაკნის ნამსხვრევებს. ორბმა კარგახანს იტრიალა ცაში და მერე სადღაც, მთებში, საიმედო ადგილს გააქანა საცოდავი ბობღია.

საღამოს გივი თავის დღიურში წერდა ამ ამბავს შემდეგი სათაურით: „ჭკვიანი ორბი“, ფრჩხილებში კი მიაწერა: „შემთხვევა კოხტა-გორაზე“.

ირაკლი აბაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

აბრეშუმის ჭია

თუთა როდის იფოთლება,
აბრეშუმის ჭიამ იცის,
მაშინ ჩნდება, გაიზრდება
და კანს ხუთჯერ გამოიცვლის.

გაიზრდება, ჭამას შეწყვეტს,
ავა, ცახზე აიბარგებს
და პირიდან წვრილი ძაფით
გაიკეთებს ლამაზ პარკებს.

ორ კვირამდის შიგ ზის ფრთხილად,
აიშენა კოხტად სახლი,
მერე პეპლად გამოძვრება,
დაჯდება და კვერცხებს დაყრის.

ჩვენს ფაბრიკებს მისდით პარკი,
გაავსებენ ორთქლის ქვაბებს,
ძაფს იღებენ, მერე ქსოვენ
ლამაზ ბლუზებს, ლენტს და კაბებს.

ფარშევანგთვალა

თავის კვერცხებს ეს პეპელა
აყრის ჭერამს, ბალს და ქლიავს,
საჭმელად და შესაფარად
ხის ფოთლები არ აკლია.

ივნისში ხომ ჭია ჩნდება,
ჭამენ, ფოთლებს ესწრაფიან,
უშნოა და მავნებელი,
მას მუხლუხოს ეძახიან.

მერე პარკში შეეხვევა,
შტოს ჰკიდია როგორც ენა,
მერე პეპლად გადიქცევა,
რომ დაიწყოს ლამით ფრენა.

1. დასაწყისი იხ. „ოქტ." № 1

ჭუჭკალია

უზრუნველად, უშრომელად
ზაფხულობით ხტის და მღერის,
ფრთის ხახუნით დაჭრიჭინებს
ბალახივით მწვანე ფერის.

წინ ფეხზე აქვს ვიწრო ყური
და სმენაც აქვს საოცარი,
თუ შეატყო მტრის მოპარვა,
გადახტება როგორც ქარი.

თავის კვერცხებს ეს ცეტები
ვერ ანდობენ ბალახს, ვერც ხეს:
დედა გახვრეტს მიწას ტანით
და შიგ ჩაყრის თავის კვერცხებს.

პატარები თვის კანს ექვსჯერ
იცვლიან და გვერდზე ყრიან,
ამ ცეტსა და აბეზარას
„კუტკალიას" ეძახიან.

ჭრიჭინები

ეს ჭრიჭინაც თავის საზრდიას
არ აგროვებს დიდის ოფლით,
სიმღერით და უსაქმობით
მოძმე არის ჭიჭინობლის.

მის ამბავს და სიზარმაცეს
მშვენიერად ვიცნობთ ჩვენაც:
წაიკითხეთ წერეთელის
„ჭრიჭინა და ჭიანჭველა".

ქეთევან ელისაბედაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯამთარში

რეზო მეორე კლასის მოწაფეა. მისი და, მარინა, კი პატარა, სულ პატარა გოგონაა.

რეზოს ძალიან უყვარს თავისი პატარა დაიკო. თავისუფალ დროს ყოველთვის ეთამაშება.

აი დღესაც, რეზო სკოლიდან დაბრუნდა, ისაუზმა თუ არა, მარინამ მუხლებში ხელები ჩაავლო და ეხვეწება:

— ლეზო, ტა-ტა-ატა.

სანამ რეზო ჩაიცვამდა, დედამ მარინას ჯერ შალის ნაქსოვები ჩააცვა, მერე პალტო, ქუდი და ხელთათმანები, მერე კი გრძელი შალით ისე შეუკრა თავი და გულმკერდი, რომ მარინა უფრო მუთაქასა ჰგავდა, ვინემ ბავშვს. ერთი სიტყვით, მარინა ისე იყო ჩაფუთნული, რომ ფეხზე დგომისა და თვალების ხამხამის მეტი არაფერი შეეძლო.

რეზო სოფლის თავში ცხოვრობდა. მათი სახლის გვერდით რამდენიმე მოსახლე იყო ჩამწკრივებული. სახლებს უკან კი კოლექტივის კალო-საბძელი იყო, რის შემდეგაც ტყე იწყებოდა. აქ უყვარდათ ბავშვებს თავის მოყრა ზამთარშიც და ზაფხულშიც.

როცა რეზო და მარინა კალოზე გამოვიდნენ, იქ ხუთიოდე ბიჭი დახვდათ.

— რეზო, დასვი მარინა და ვითოვლაოთ, — დაუძახეს ბიჭებმა.

— თქვენ ითოვლავეთ, ჩვენ კი გიყურებთ, – უთხრა რეზომ.

— არა, მოდი, კენტად ვართ. მარინა აი ამ ხის ძირში დავაყენოთ, — უთხრა სოსომ და ტყის პირას ხის ძირში თოვლი დატკეპნა. რეზო აღარ გაჯიუტდა: გუნდაობა თითონაც სურდა და მარინა არჩეულ ადგილზე დააყენა.

ამინდი წყნარი, მიყუჩებული იყო. ზევიდან ფართე ფიფქები ყირაყირა ჩამოდიოდნენ და ისედაც დათოვლილ არემარეს თოვლით ავსებდნენ.

ბიჭებმა კენჭი ყარეს. რეზო, გიგი და სოსო ერთ მხარეს მოხვდნენ, ვანო, კოლა და ნოდარი—მეორე მხარეს.

—ჰერი... აბა დავიწყოთ! — დაიძახა გიგიმ და კალოს შუაგულში ყირაზე გადავიდა.

— დავიწყოთ, ბიჭებო, დავიწყოთ. ერთი, ორი, სამი!

დატრიალდნენ ბიჭები. დაიწყო გუნდაობა. ზევიდან მოფრიალე ფიფქებს მსხვილი გუნდები შეერია.

— ესეც ერთი! — დაიძახა ნოდარმა, როცა მისი გასროლილი გუნდა გიგის გულზე გაიშალა, მიეფინა და ნიშანი დასდო.

თოვს, ისე გულიანად თოვს, თითქოს გადაღებას აღარ აპირებსო.

ბიჭები გახალისდნენ და გუნდას გუნდაზე აყოლებენ. გარშემო რაც თოვლი იყო, მოთელეს, ყვირიან და უხარიათ თოვლი, თოვლაობა და გამარჯვება.

მარინა კი თავისთვის დგას. ჯერ ბიჭების ჟრიამული ართობდა, ახლა კი ზევიდან მოფრიალე ფიფქებს აყოლებს თვალს.

აი ერთი ფიფქი, მსუბუქი, თეთრი და ცივი, ზედ ცხვირზე დაეცა, გაჩერდა და დადნა.

მარინა უსიამოვნოდ შეინძრა, რადგან პატარა ხელი ცხვირზე ვერ ჩამოისვა.

ამ დროს რაღაცამ შეანჯღრია და ასწია. მარინამ იყვირა. ბიჭებმა მიიხედეს და ერთ წამს ვერ გამოერკვნენ. მყვირალ მარინას ტყისაკენ მიაქანებდა რაღაცა რუხი, ბანჯგვლიანი და საშინელი.

— რა არის?! — იყვირა სოსომ.

— მგელი, მგელი! არიქა!! — დაიყვირა რეზომ და მოწყდა ადგილიდან.

ახლა კი გაერკვნენ ბიჭები, დაჰკიჟინეს, დასჭყივლეს და გამოუდგნენ.

მირბის, მიძუნძულებს მგელი და თან დორბლები გადმოსდის; მარინა ტირის, ბიჭები ყვირიან. აი ცოტაც და წამოეწევიან. ახლა კი იკადრა ამ საძაგელმა მტაცებელმა, მარინა დააგდო, ზედ გადაახტა და შურდულივით შევარდა ტყეში.

რეზო მივარდა, მარინა აიყვანა და გულში ჩაიკრა.

— რა საშინელი იყო! — თქვა სოსომ.

— როგორი თვალები ჰქონდა, თითქო სანთლები უნთიაო! — დაუმატა ვანომ.

— რასა ჰგავს, თითქო ნაცარ-ლაფში ამოუგუნგლიათო!

— აბა შეხედეთ, როგორი მშიერია ზამთარში მხეცი. ტყეში საჭმელს ვეღარ პოულობს და სოფელში ჩამოსვლას არ ერიდება. თუ ისეთი რამე ნახა, რომ მოერევა, მოიტაცებს და ტყეში შეჭამს. თუ ვერ მოერევა, იქვე დაკლავს, - თქვა რეზომ და მტირალი მარინა უფრო მაგრად მიიკრა.

თურმან შანშიაშვილი

ბოკაკი



(ზღაპარი)

მრავალი წლის წინათ ცხრამთასიქითა სოფელში ერთი ბატონი ცხოვრობდა. როგორც ყოველი ბატონი, ისიც ავკაცობით იყო განთქმული. ყველას ეშინოდა ბატონისა. მის ბრძანებას უხმოდ ასრულებდნენ. ან ვინ შეჰბედავდა ურჩობას: იმ წამსვე თავს მოჰკვეთდა მრისხანე მბრძანებელი.

უთვალავ ხელქვეითთა შორის ერთი ახალგაზრდა ყმა ჰყავდა, მალხაზი ერქვა სახელად. წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო, მაღალი და ბეჭებგანიერი...

მალხაზი დაღვრემილი დადიოდა... მის სახეზე სიცილს ვერავინ შეამჩნევდა, მუდამ ბრაზიანად იყურებოდა. ამბობდნენ, ბატონმა დედ-მამა გაუყიდა და იმიტომ დადის დაღვრემილიო, ზოგი ლაპარაკობდა დახოცაო, უღელქვეშ ამოხადა სულიო, და ვინ იცის, კიდევ რაებს არ ამბობდნენ... ეს კია, რომ მალხაზის მშობლები აღარსად ჩანდნენ.

ამიტომ ბრაზობდა ჭაბუკი და სამაგიეროს გადახდა უნდოდა, მაგრამ ვერა ბედავდა. თვითონ ერთი იყო, ბატონს კი ბევრი დამცველი ჰყავდა.

თუმცა ხალხსაც სურდა ბატონის მოშორება, მაგრამ მათაც ეშინოდათ მბრძანებლის რისხვისა და ისევ მორჩილებას არჩევდნენ. ამ მდგომარეობით შეწუხებული მალხაზი ტყე-ღრეში დაეხეტებოდა და მუდამ იმის ფიქრში იყო, როგორ მოეშორებინა მტარვალი.

ერთხელ ჩვეულებრივად ტყეში მიდიოდა. უცებ იმის წინ პატარა ჩიტს გასაოცარი სისწრაფით დააცხრა ქორი.

მალხაზმა ხანჯალი გაიძრო, მოუქნია მტაცებელს და ორად გაკვეთა. პატარა ჩიტი ჭივჭავი აღმოჩნდა. ყელი მოიღერა, მალხაზს მიაშტერდა და სულ არ ფიქრობდა გაფრენაზე. გაოცდა ჭაბუკი. მიუახლოვდა, ხელი წაატანა. ჩიტი მხარზე შეაფრინდა და უცებ ენა ამოიდგა.

— ძვირფასო მონადირევ, შენ სიცოცხლე შემინარჩუნე. არ ვიცი, როგორ გადაგიხადო სამაგიერო. მითხარი, რა გა-

წუხებს, და პირობას გაძლევ, ყველაფერს შეგისრულებ.

ფრინველის ლაპარაკით გაოცებულმა მალხაზმა ყველაფერი უამბო და ბოლოს დასძინა: — ჩემი ერთადერთი სურვილია მოვსპო ჩემი მშობლების ჯალათი მრისხანე ბატონი და ხალხი გავათავისუფლო ტანჯვისაგან.

ჭივჭავმა პატარა ნისკარტი გააღო, ჩაიჭიკჭიკა და უპასუხა:

— ეგ ადვილი საქმეა, ჩემო მეგობარო. ისეთ დღეს დავაყრი იმ შენ ბატონს, რომ მთელ სოფელს მასზე ვახარხარებ, ოღონდ შენ ხალხი მიიმხრე და ჩემ ნიშანზე მზად იყავი.

მალხაზი დასთანხმდა, თვალზე აკოცა ჩიტუნას და ჰაერში შეაფრინა. იმ საღამოს სოფლელებმა მალხაზის სახეზე პირველად ნახეს ღიმილი.

მეორე დღეს, როცა ბატონი აივანზე იწვა და ნებივრობდა, ჭივჭავი მიფრინდა ეზოში, სანაგვეზე დაჯდა და ქექვა დაიწყო. ჩიტმა პატარა მარგალიტი იპოვა, ნისკარტში დაიჭირა და აჭიკჭიკდა;

ერთი რამე მაქვსო,
ბატონს არა აქვსო,
ბატონს არა აქვსო,
მე კი ბევრი მაქვსო.

ბატონი ტახტზე წამოჯდა, აქშინდა და ბრაზიანდ დაიძახა:

— ვინ არის ეგ თავხედი, მაგას რა უნდა ჰქონდეს ისეთი, რომ ჩემ ხაზინაში არ მოიპოვებოდეს?!

სიმღერა კიდევ განმეორდა.

ახლა კი განრისხდა ბატონი, დაინახა, რომ ამ ლექსს ჭივჭავი მღეროდა.

ბრძანა დაეჭირათ თავხედი ფრინველი, მარგალიტი წაერთმიათ და მერე თავი წაეგლიჯათ.

მსახურები ასეც მოიქცნენ: დაიჭიროს, მარგალიტი წაართვეს და ჩიტს თავი წაჰგლიჯეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველას გასაოცრად, მკვდარი ჭივჭავის თავმა ძველებური ხმით ამოიმღერა:

ერთი ვიყავ,
ორად გამყვეს,
გამცარცვეს და
ისე მომკლეს!

გაოცდა ბატონი, ბრაზი მოერია, აივანზე გადმოდგა და ღრიალით გადმოსძახა ბიჭებს:

— ხმა ჩაუწყვიტეთ მაგ ჩიტს, ახლავე გაპტკვენით, შეწვით და აქ მომართვით!

მსახურებმა ფიცხლავ შეასრულეს ბრძანება. გაპტკვნეს ჭივჭავი, ცეცხლზე შეწვეს და ბატონს მიართვეს.

გვერდებდაბროწლებულმა ჭივჭავმა კიდევ დაიმღერა:

ტანთ მეცვა და
გამხადეს,
მციოდა და
გამათბეს.

გაკაპასებულმა ბატონმა შემწვარი ჭივჭავი დაგლიჯა, პირში შეიტენა და ერთ ლუკმად გადაყლაპა. ესიამოვნა, აბეზარი ჩიტი რომ მოიშორა, და ხითხითით წარმოთქვა:

— ახლაც იმღეროს... ხა, ხა, ხა! — ბატონის სიცილი მსახურებს ეამათ და ისინიც გამხიარულდნენ. მრისხანე მბრძანებელს იმედი გაუცრუვდა, ჭივჭავი საბოლოოდ ვერ მოიშორა: ერთი დღის შემდეგ მუცლის გვრემა აუტყდა და სიმღერაც მოესმა საკუთარი სტომაქიდან:

ნათელს ვიყავ,
ბნელში ჩამსვეს,
ჯავშანში ვარ,
ხმას ვინ გამცემს!

ბატონს ბრაზით ენა ჩაუვარდა, კბილები ააღრჭიალა, დაიღრიალა, მაგრამ რას იზამდა? ჩიტი შიგნეულში უჯდა, რას გააწყობდა! ყველაზე დიდად ის აფიქრებდა, რომ როცა გლეხების წინაშე გამოვიდოდა და გადასახადს მოსთხოვდა, ამ დროს მისი პირიდან ჭივჭავის ხმა მოისმოდა:

— რით ვერ გაძეხ,. შე ღორმუცელავ, ქვეყანა ხომ არ უნდა ჩაიდვა მუცელში; ერთი პატარა ჩიტი ვიყავ და ჩემი სიცოცხლეც კი შეგშურდა, ფუჰ, შენს გაუმაძღარ თავს!

ასეთ შემთხვევაში ბატონი ყმებს ზურგს შეაქცევდა, პირზე ხელს მიიფარებდა და ცდილობდა ჭივჭავის ხმა დაეფარა, მაგრამ ამაოდ, ხმა მაინც მკაფიოდ ისმოდა.

როცა ბატონი თავისი ამალით სოფელზე ჩამოივლიდა, ჭივჭავი მაშინ დიდი ხმით მღეროდა, სოფლელებს ეძახოდა და ბატონს ასე მიმართავდა:

— რით ვერ გაძეხ, ღორი ხომ არა ხარ, როდემდის უნდა ჭამო სხვების ნაშრომი!

ბატონი იძულებული ხდებოდა შინ დაბრუნებულიყო და მარტოდმარტო ჩაკეტილიყო ოთახში.

მრისხანე მბრძანებელი საგონებელში ჩავარდა. დღე და ღამე იმაზე ფიქრობდა, როგორ მოეშორებინა ეს წყეული ფრინველი.

ერთ დილას ძალიან უგუნებოდ გამოეღვიძა, წამოიწია, მაგრამ ვერ ადგა; მუცელში ტკივილი იგრძნო, ხელი მოისვა და მოულოდნელობისაგან პირი ღია დარჩა: მუცელი გაბეროდა, რუმბივით ედგა და მოძრაობას უშლიდა.

როგორც იქნა, წამოდგა, საცვლების ამარამ ფოსტლებში წაყო ფეხი და კარებისაკენ გასწია, მაგრამ ვაი საოცრებავ! მუცელი ისე გასდიდებოდა, რომ კარებში ვეღარ გაეტია.

— ჰეი, ბიჭებო, გააღეთ კარები! — დაიძახა ბატონმა. მოცვივდნენ მსახურები, კარები ფართოდ გააღეს, მაგრამ მაინც ვერ გაეტია.

— ჩქარა ჩამოანგრიეთ კედელი, გარეთ გამოსვლა მინდა! — დაიღრიალა მბრძანებელმა.

ბიჭები დატრიალდნენ, გასავლელი გააფართოვეს, მაგრამ ვაი საოცრებავ, როცა ბატონი მიუახლოვდა, მუცელი ისე გაებერა, რომ კიდევ ვერ გაეტია.

— ჩქარა დაანგრიეთ მთელი კედელი! — აღრიალდა ბატონი. — ბატონო, მეტი აღარ შეიძლება, ჭერი დაგეცემათ თავზე! — მორიდებით მოახსენეს მსახურებმა.

— ახადეთ ჭერი! — წვიმა მოვა, ბატონო, — დასველდებით, საუნჯე გაგიფუჭდებათ! — გამოსვლა მინდა! გამომიყვანეთ! — გაანჩხლდა მბრძანებელი. ვერავინ შეძლო მისი გარეთ გამოყვანა: იმდენად გაიბერა, რომ ოთახი მთლად გაივსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასაცილო რამ გახდა მრისხანე ბატონი: უშველებელი მუცელი რუმბივით ადგა, პატარა ფეხები ძლივს იმაგრებდა ვეებერთელა სტომაქს, ხახვივით მოწითალო თავი თითქმის აღარ უჩანდა. ხანდახან მუცელი დასძლევდა და გადაბრუნდებოდა. ამ დროს უმწეო ბატონი ფეხებს საცოდავად ატოკებდა, ხელებს ჩაჩხავდა და იჭაჭებოდა.

მსახურები ვაივაგლახით გადააგორებდნენ და ძლივს შეაყენებდნენ დაჩიავებულ ფეხებზე.

ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ ტანსაცმელი სულ შემოეხია, აღარაფერი ეცვა და სიშიშვლე რომ დაეფარათ, ფარდაგებს ხურავდნენ. თანდათან შეუძლებელი გახდა ბატონის მოვლა, უცნაურად ამყრალდა, ლაყი კვერცხისა და ობის სუნი ავარდა, ახლოს ვერავინ ეკარებოდა, ერთგული მსახურებიც გაურბოდნენ.

ბატონი იწვა იატაკზე და ხვნეშოდა; ირგვლივ შმორის სუნი ადიოდა, ჭივჭავი კი ძველებურად მღეროდა.

სოფლელები მალიმალ მოდიოდნენ სასახლეში და შორიდან უყურებდნენ ცოცხალ ლეშად გადაქცეულ მბრძანებელს.

მოთმინებიდან გამოსულმა ბატონმა განთქმული დოსტაქარი მოიხმო, თავის ერთგულ მცველებსაც დაუძახა და ასე მიმართა:

— დოსტაქარო, გაკვეთე ჩემი მუცელი და ამოიყვანე ის წყეული ჭივჭავი. თქვენ კი, ჩემო ერთგულო მცველებო, კარგად გალესილი ხმლებით შეიარაღდით, ჩემს გვერდით დადექით და ვინიცობაა დოსტაქარს ის წყეული ჩიტი გაუსხლტეს, მაშინ ხმალი შემოუქნიეთ და შუა გაკვეთეთ. შემდეგ უხარმახარი ჭიაკოკონა დაანთეთ და შიგ დაწვით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოსტაქარმა პირი აიხვია, მსახურებს კიბე მოატანინა და მუცელზე მიაყუდა, ძლივს აფოფხდა, ჭიპთან გადაჯდა და დანა მოიმარჯვა. ქშინავდა ბატონი და ნელა ირხეოდა მუცელი, ადიოდა და ჩადიოდა დანამომარჯვებული დოსტაქარი. როცა გაკვეთა სტომაქი, ისეთი საშინელი მყრალი სუნი ამოვარდა, რომ ვისაც პირი არ ჰქონდა ახვეული, ყველა გაიქცა. შიშინითა და ქშუტუნით დაიცალა მუცელი, დაიჩუტა და დოსტაქარი ნელნელა დაეშვა დაბლა, დიდხანს აფათურა ხელები მუცლის ღრუში, მაგრამ ვერაფერი იპოვა. ის იყო გაკერვას აპირებდა, რომ ჭივჭავი მაშინ ამოფრინდა, რამდენიმეჯერ შემოუარა ოთახს და ტკივილებისაგან შეწუხებულ ბატონს შუბლზე დააჯდა. მცველები ფრთხილად მიეპარნენ, ღონივრად მოუქნიეს ხმლები და საზარელი ღრიალით შეშინებულნი უკანვე გადახტნენ. ბატონის ორად გაპობილი თავი იატაკზე გორავდა, ჭივჭავი კი არსად ჩანდა. მცველები მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და შიშით აკანკალდნენ.

იმ დროს, როცა ბატონის სასახლეში აურზაური და ვიშვიში იდგა, ჭივჭავი მალხაზთან მიფრინდა და ნიშანი მისცა.

მალე დაიძრა ხალხი ბატონის სასახლისაკენ. შეიპყრეს მცველები, გარეთ გამოათრიეს და ჩააქვავეს, დაუდეგარი ჭივჭავი ჭიკჭიკით მოფრინდა ბატონის სასახლეში, მალხაზს თავზე დააჯდა და წკრიალა ხმით შემოსძახა.

მტარვალები დაიხოცნენ,
ხალხისაა მომავალი,
შეერთდით და დამეგობრდით,
რას დაგაკლებთ მტრის ლაშქარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურმან ლებანიძე

ზამთრის მოლოდინში.

აცივდა, მთები გათეთრდნენ,
მალე ჩამოთოვს ბარადაც,
მოვა თეთრჩოხა მოხუცი
ბავშვების გასახარადა,
თოვლით, ცივით და ახალ წლით
მოვა, მოდგება კარადა.

ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს,
ჩვენს გულებშიაც ლხინია,
განა შენც ელი ზამთარსა,
სულ რომ წკმუტუნებ, ფინია?
მობრძანდი, თეთრო ზამთარო,
ჩვენ ყინვის არ გვეშინია.

ბიჭო, გახედე, შეესხა
ფრთები ჩვენს ნატვრა-საუბარს,
მიწას მთებიდან თვით ცამდე
ფიფქის თოკები გაუბამს,
მალხაზ ბიჭების ყიჟინა
მოედო შარას და უბანს.

ისევ მწყურია ბავშვობა,
მოვედო სერს და ჭალასა,
არ მახსოვს, ველებს ეცინოთ
ასე ტკბილად და ხალასად,
ვაშა გულს ამღერებულს და
ვაშა ბუნების ძალასა!

კამათი

მოწაფეთა კამათია,
გაჰკივიან მაღალ ხმაზე,
გურამ, თენგო და მათია
ვერ შეთანხმდნენ რაღაცაზე.

გურამ ამბობს: „გავიზრდები,
ტანკით გავალ ბრძოლის ველად,
გადავლახო მინდა მთები,
გავაკვირო საქმით ყველა!“

„ესეც ბიჭი გამოსულა!
მეზღვაურად ყოფნას რა სჯობს,
რომ დავიცვა მე ერთგულად
საბჭოეთის სადარაჯო!“

ამბობს თენგო, უნდა თანაც
გამარჯვება თვითონ დარჩეს,
არა არის გემისთანა,
გემზე ყოფნას არას არჩევს.
მოუვიდა მათეს გული
და ატეხა მან ხმაური:
„ამბობს თენგო გაჭიმული:
გემზე ვიყლი მეზღვაური!“

ეს გურამიც რომ ტრაბახობს,
იგი ტანკას თუ წაიყვანს,
ვინ აჯობებს, აბა ვნახოთ,—
მე ლექსების წერა მიყვარს!“

გურამ ტანკებს ატარებდა,
ილაშქრებდა თენგო მტერზე...
თუმც იმსჯელეს პატარებმა,
ვერ შეთანხმდნენ ვერაფერზე.

თბილისი, მე-14 სკოლის V კლ. მოსწავლე
რეზო თაბუკაშვილი.

დიდია მეგრელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ხალხური ამბავი)

ორი გლეხი წავიდა სათევზაოდ, მიადგნენ ერთ დიდ ტბას, რომელიც სავსე იყო კობრებითა და ლოქოებით. დაიწყეს ჭერა. ბადის ყოველ გადაგდებაზე ოკლავის სიგძე თევზებს იჭერდნენ. დილამდის გაავსეს გოდრები. დილით შეუდგნენ გაყოფას, მაგრამ როგორ გაეყოთ, სასწორი არ ჰქონდათ. პირველმა გლეხმა თქვა: შუაზე გავჭრათ ყველა თევზიო. კარგიო, დაეთანხმა მეორე გლეხი. პირველი გლეხი შეუდგა თევზების გარიგებას. გაჭრა კობრი, თავი საკუთარ გოდორში ჩადვა, ბოლო ამხანაგს ჩაუდო. გაჭრა ლოქო — ბოლო თავის გოდორში ჩადვა, თავი ამხანაგს ჩაუდო, ისე რომ პირველმა გლეხმა ყველა კობრის თავი და ლოქოს ბოლო თავისთვის ჩაიწყო გოდორში, ყველა კობრის ბოლო და ლოქოს თავი კი ამხანაგს ჩაუწყო. მოიკიდეს გოდრები და მხიარულად გაუდგნენ შინისაკენ.

პირველ გლეხს ცოლმა სიბრძნე მოუწონა, ხოლო მეორე გლეხის ცოლს ელდა ეცა ბრაზით და ქმარს შეუტია: — შე ტიალო, როგორ მოგატყუა ამხანაგმა, კობრის ბოლო და ლოქოს თავი რა საჭმელია, გასწი, წაიღე ჩქარაო! — დაავლო ქალმა კეტს ხელი. სხვა გზა არ იყო, მოიკიდა გლეხმა გოდორი და გაუდგა ამხანაგისაკენ.

— ეს რა მიქენი, ძმაო, ცოლმა კეტით გამომაგდოო.

— რა ჩემი ბრალია, — გადიხარხარა პირველმა გლეხმა, — თუ თევზის ჭერის უნარი გაქვს, გემოც უნდა იცოდეო.

კ. ცაგარეიშვილი

რა უფრო მალე სპობს ორგანიზმს — უძილობა თუ უჭმელობა?

დაქანცული კუნთები და ტვინი დასვენებას მოითხოვენ. კარგი დასვენება მხოლოდ ძილის დროს შეიძლება. კუნთს შეუძლია დაისვენოს მაშინაც, თუ ადამიანი მუშაობას შეწყვეტს; გულის კუნთი ისვენებს შეკუმშვისა და გაფართოების პერიოდში, თავის ტვინი მუდამ მუშაობს, სანამ ადამიანი არ დაიძინებს, მხოლოდ ძილის დროს ისვენებს ტვინი, როცა მძინარე ადამიანი შეგრძნებას კარგავს.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ძილს, ამაზე მშვენივრად მეტყველებენ ფაქტები: ერთმა მემანქანემ რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ დაიძინა და უკანასკნელ ღამეს კი ჭკუიდან შეიშალა. იგივე მემანქანე, რომელსაც 15 საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ეძინა, სავსებით გამოჯანმოთელდა. ხანდახან ადამიანი ავადმყოფურ მდგომარეობაშია, ვერ იძინებს. ასეთი მდგომარეობა 9 დღეს თუ გაგრძელდა, ადამიანი მოკვდება.

გამოჩენილმა მეცნიერმა მ. მ. მანასეინმა ლეკვებზე აწარმოვა ცდები და დარწმუნდა, რომ ძილი უფრო საჭიროა, ვიდრე საჭმელი. 20 დღის განმავლობაში მან ლეკვები აშიმშილა. ლეკვებმა ნახევარ წონაზე მეტი დაკარგეს, მაგრამ შემდეგ, როდესაც საკვები მისცეს, სრულიად მომჯობინდნენ. სხვა ლეკვებს 5 დღის განმავლობაში არ მისცა ძილის საშუალება და ისინი დაიხოცნენ.

უძილობის დროს სხეულის ტემპერატურა ეცემა, სისხლის წითელი ბურთულები მცირდება და ორგანიზმი სუსტდება. უძილობა უფრო ადრე სპობს ორგანიზმს, ვიდრე უჭმელობა.

4083
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 50 კაპ.

გასართობი

ღაბირინთი „ძველი ციხე-სიმაგრე"



კაცი იმყოფება „ა" წერტილში. მას ციხიდან გამოსვლა უნდა; ამისთვის აუცილებელია „ბ" წერტილში მისვლა და იქ შენახული გასაღების ხელში ჩაგდება. ციხეს ექვსი კარი აქვს; გასაღები ექვსივეს აღებს, კაცი იმ კარებით გამოვა, რომლითაც სურს.

პასუხი პირველ ნომერში მოთავსებულ ნ. ნაკაშიძის შეგრეული და დამუშავებულ გამოცანებზე.

1. კატა 2. გზა. 3. ბოქლომი. 4. ფანჯარა. 5. ბალიში. 6. ქოლგა. 7. ნემსი. 8. წყალი, მიწა, მცენარე. 9. ობობას ქსელი. 10. ფანქარი. 11. ძნა. 12. კომბოსტო. 13. ხახვი. 14. მამალი. 15. ტროლეიბუსი. 16. ლიფტი.